საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/166

ქ. ბათუმი 24 ოქტომბერი 2019 წელი

2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ტესტირების ჩატარების მიზნით ბსუ-ს საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ

2019 წლის შემოდგომის პროფესიულ ტესტირებაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის ორგანიზების მიზნით, ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების VII თავის, ,,2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგის განსაზღვრისა და ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 ოქტომბრის N1308 ბრძანების, ,,2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების მიზნით, იმ დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები და დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 ოქტომბრის N1306 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2019 წლის 24 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის N1445049 საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ტესტირების ჩატარების მიზნით შეიქმნას ბსუ-ს საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) მამუკა გოგელია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - კომისიის თავმჯდომარე;

   ბ) გულადი ფარტენაძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერი, კომისიის წევრი;

გ) მიხეილ დონაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, კომისიის წევრი;

დ) მერი ჩიმაკაძე - ინკლუზიური განათლების სპეციალისტი;

2. დაევალოს საგამოცდო კომისიას ჩაუტაროს ტესტირება 2019 წლის 26 ოქტომბერს:

ა) დავით ალიშანიძეს - 10:00 სთ-ზე **(მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, მე-2 კორპუსი, აუდიტორია N232);**

ბ) ანნა ჭყონიას - 12:00 და 13:30 სთ-ზე **(მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, მე-2 კორპუსი, აუდიტორია N232);**

გ) ლილე წულაძეს - 15:00 და 16:30 სთ-ზე **(მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, მე-2 კორპუსი, აუდიტორია N232);**

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელია) უზრუნველყოს სსსმ აპლიკანტების: დავით ალიშანიძის, ანნა ჭყონიას და ლილე წულაძის ინფორმირება 2019 წლის 26 ოქტომბერს საგამოცდო კომისიის წინაშე ტესტირების მიზნით გამოცხადების აუცილებლობის შესახებ.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნულ საგამოცდო კომისიის წევრებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N 30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**